შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „სუფთა წყალის“ შორის 2019 წლის 02 აპრილს
გაფორმებულ N242-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N2

ქ. თბილისი 31 დეკემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „სუფთა წყალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205150655) შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კალმახელიძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2019 წლის 02 აპრილს გაფორმებულ N242-ე ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე (CON190000179 - დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N3445513 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N3445513 სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის საჭიროა 2020 წლისათვის ხელშეკრულებით დარჩენილი მოსაწოდებელი საქონლის - **1405** ცალი სასმელი წყალი პოლიკარბონატის ბალონით (19 ლიტრიანი) ღირებულებით არაუმეტეს **8289,50** ლარის მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 30 დეკემბერს მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის N04-02/142078 საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

დადგენილებითი ნაწილი:

1. ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„7.2 „დაფინანსების წყარო - 2019 და 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“.
2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2019 წლის 02 აპრილს დადებულ N242–ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები